

## ო ქ მ ო №3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი

2016 წლის 28 იანვარი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 35

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 33 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: რ. გვარამია - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი, ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე)

11. „შოთა სირაძის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

12. „საკრებულოს წევრის შოთა სირაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

13. „დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

14. „----- ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

15. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

16. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

17. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

18. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების  
მართვის სამსახურის უფროსი)

19. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 მარტის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების  
მართვის სამსახურის უფროსი)

20. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების  
მართვის სამსახურის უფროსი)

21. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების  
მართვის სამსახურის უფროსი)

22. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: შ. კანკია - გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით  
გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

23. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2016 წლის  
მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: შ. კანკია - გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით  
გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

24. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის  
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 23 აგვისტოს N54 განკარგულებაში ცვლილების  
შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: შ. კანკია - გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით  
გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 31, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ე. წურწუმია, მ. ყურუა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

### **დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა**

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)

**მოისმინეს:** **დ. ჭოჭუა** - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** **მ. ქარდავა** - გამომსვლელმა განაცხადა, რომ 4,9 ათასი ლარია გამოყოფილი „ჟურნალ-გაზეთების შეძენა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯების“ ასიგნებაზე, საიდანაც ფინანსდება ჟურნალი „გარდიანი“. გამომსვლელი დაინტერესდა თუ რატომ ხდება 4,9 ათასი ლარით დაფინანსება და არა 5,0 ათასი ლარით, იმიტომ ხომ არა, რომ ტენდერი აგვეცილებინა თავიდან? დაინტერესდა იმითაც, რომ მაინც და მაინც რატომ ჟურნალი გარდიანი დაფინანსდა და არა სხვა ჟურნალი, აღნიშნული ჟურნალი რაიმე უპირატესობით ხომ არ გამოირჩეოდა.

**ზ. ბუკია** - გამომსვლელმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება 4,9 ათასი ლარით დაფინანსებას, გამოწერის თანხა გათვლილია 12 თვეზე, თუმცა ამ შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდა თებერვლიდან და ჟურნალის გამოწერა გათვლილია თერთმეტ თვეზე, გამომდინარე აქედან თანხაც ამის მიხედვით არის განსაზღვრული.

**ე. ჯობავა** - გამომსვლელიმა აღნიშნა, რომ ჟურნალი გარდიანი არის უდიდესი საინფორმაციო პორტალი, რომელიც აშუქებს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა მუნიციპალიტეტების შესახებ სრულ ინფორმაციას გაწეული საქმიანობების შესახებ, რაც აძლევს მოსახლეობას იმის საშუალებას, რომ სრულყოფილად გაეცნონ ინფორმაციას თუ რა პროექტები ხორციელდება ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

**ტ. ალექსანდრია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება სხვადასხვა სახის ცვლილებები: შემცირდა ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის ხარჯები 27,5 ათასი ლარით, კერძოდ: პროგრამის „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის ფონდი“ ასიგნება. აგრეთვე მოხდა ნაშთის ზრდა 405,1 ათასი ლარით და შეადგინა 451,5 ათასი ლარი. გამონთავისუფლებული 27,5 ათასი ლარი და ნაშთის ზრდა 405,1 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის „აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების დაფინანსება“

ასიგნებებზე 6,4 ათასი ლარი; პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნებებზე 421,5 ათასი ლარით. ქვეპროგრამა „პროფესიული განათლება“ ასიგნებაზე 4,7 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 6644,2 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კომისიას სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30, წინააღმდეგი – 1 (თ. გულუა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ყურუა, ე. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N1 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: რ. გვარამია - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი, ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე)

მოისმინეს: რ. გვარამია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიმდინარე წლის 22 ივლისს განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

სამინისტროდან 2015 წლის 24 დეკემბერს მიღებულ იქნა სარეკომენდაციო წერილი N01/4451, რომლითაც წარმოდგენილ იქნა სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტური მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის მიერ, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საექსპერტო და საკონსულტაციო მხარდაჭერის ფარგლებში, შემუშავებული ნიმუში საკრებულოს რეგლამენტში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ, რომელიც შეეხება პეტიციის წესით საკრებულოზე წარსადგენ საკითხებს. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ე. წურწუმია, ფ. შონია, ლ. ლოლუა, ი. ნადარაია, რ. სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N2 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის აღმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ

კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2015 წლის ივლისში განხორციელებული ცვლილებით განისაზღვრა მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრებების უფლებამოსილებები, რასთან დაკავშირებითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაეკისრათ ვალდებულება კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის სათანადო სამართლებრივი აქტების შემუშავების, კერძოდ: კონკრეტული შემთხვევისთვის - დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცება. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებული სარეკომენდაციო პროექტის საფუძველზე, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მოერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“. პროექტით განსაზღვრულია დასახლების საერთო კრების უფლებამოსილებები, მისი მოწვევის, კრებაზე საკითხების ინიციირების, კენჭისყრის გამართვის და საქმიანობის წესები, საერთო კრების რჩეულის უფლებები და მოვალეობები, საერთო კრების რჩეულის არჩევის და საერთო კრების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ე. წურწუმია, ფ. შონია, ლ. ლოლუა, ი. ნადარაია, რ. სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგინდება N3 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოდგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 69-ე მუხლი ადგენს გამგებლის უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილებასა და პროგრამულ კლასიფიკაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით, გამგებლის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების პროცესში საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან თანხმობას არ ითვალისწინებს. გამგეობის მიერ მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, რომლის მიხედვითაც გამგებელი უფლებამოსილია განახორციელოს ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების შედეგად გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება და ვალდებულია ერთი თვის ვადაში განახორციელოს ცვლილებები შესყიდვების გეგმაში, ხოლო შესატანი ცვლილებების პროექტი წარმოადგინოს საკრებულოში დასამტკიცებლად. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ლატარია, ე. წურწუმია, ფ. შონია, ი. ნადარაია, კ. მიქაბერიძე)

## გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N4 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და განმარტება გააკეთა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 საკითხებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, მიმდინარე საქმიანობის პროცესში სამსახურებისთვის დებულებებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და ასევე საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ცალკეულ ფუნქციათა გამგეობის სამსახურებს შორის გადანაწილება და ახალი უფლებამოსილებების განსაზღვრა, კერძოდ: 1. მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასახლების საერთო კრებების ორგანიზებისა და მოქალაქეთა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება იყოფა 2 განყოფილებად - საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებად და საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილებად, რომლის ფარგლებშიც ადმინისტრაციულ სამსახურს ემატება 1 განყოფილების უფროსის შტატი, 1 წამყვანი სპეციალისტის შტატი გარდაიქმნება მთავარი სპეციალისტის შტატად და ასევე აკლდება 1 წამყვანი სპეციალისტის შტატი; 2. ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურს ეცვლება სახელი შემდეგი სახით: „ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური“. ამასთან, სამსახურის გარკვეული უფლებამოსილებები (ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა) გადადის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურში. შედეგად უქმდება 1 განყოფილება და სახელები ეცვლება დარჩენილ 2 განყოფილებას შემდეგი სახით: მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება და სოფლის

მეურნეობისა და სტატისტიკური აღრიცხვის განყოფილება. დაგეგმილი ცვლილების შედეგად, სამსახურში მცირდება 1 განყოფილების უფროსის, 1 მთავარი სპეციალისტის და 1 წამყვანი სპეციალისტის საშტატო ერთეულები და 1 უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული გარდაიქმნება წამყვანი სპეციალისტის საშტატო ერთეულად; 3. ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ემატება 1 განყოფილება („ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილება“) შემდეგი საშტატო რიცხოვნებით: განყოფილების უფროსი - 1; მთავარი სპეციალისტი - 1; წამყვანი სპეციალისტი - 2. შედეგად, სამსახურის 3 განყოფილების უფლებამოსილებები დიფრენცირდება ინფრასტრუქტურული პროგრამებისა და პროექტების მართვა-დაგეგმვის, განხორციელებისა და ზედამხედველობის ფუნქციებად. საერთო ჯამში, გამგეობის საშტატო თანამდებობათა რანგები და რიცხოვნება იცვლება შემდეგი სახით: а) ემატება 1 განყოფილების უფროსი; б) 1 წამყვანი სპეციალისტის შტატი გარდაიქმნება მთავარი სპეციალისტის შტატად; გ) 1 უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული გარდაიქმნება წამყვანი სპეციალისტის საშტატო ერთეულად. განსახორციელებელი ფუნქციური და სტრუქტურული ცვლილების მიზნით გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამის სამართლებრივ აქტებში ცვლილებები, რომლებიც დღის წესრიგით წარმოდგენილია მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 საკითხებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:** მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რა იყო გამგეობის ზოგიერთი სამსახურის რეორგანიზაციის მიზეზი?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ სამსახურის რეორგანიზაციის მიზეზიც და მიზანიც არის ის, რომ მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მუშაობა იყოს მოქნილი და ეფექტური.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ პირადად მისი და უმრავლესობის აზრია ის, რომ გამგეობიდან წერილი როცა შემოდის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად, სხდომაზე საკითხის წარმომდგენი სამსახურის უფროსი ან რომელიმე პასუხისმგებელი პირი უნდა ესწრებოდეს სხდომას, რადგანაც კითხვების გაჩენის შემთხვევაში ამომწურავი პასუხი უნდა გაეცეს ყველა საკრებულოს წევრის მიერ დასმულ შეკითხვებს.

ლ. ქავთარაძე, მ. ლაგვილავა - დაეთანხმნენ გამომსვლელს და აღნიშნეს, რომ გააჩნდათ კითხვები კულტურის და აუდიტის სამსახურის მიმართ, მაგრამ სამსახურის უფროსების არ ყოფნის გამო თავი შეიკავეს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, დ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, ფ. შონია, ი. ნადარაია)

### გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N5 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, დ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, ფ. შონია, ი. ნადარაია. რ. სერგია, გ. ხურცილავა)

### გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N6 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 28 ივნისის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივნისის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, კარგია ინფრასტრუქტურის სამსახურს რომ სამი შტატი ემატება, მაგრამ ამ ადამიანებს სჭირდებათ ხელშეწყობა, რათა მეტი ინფორმაცია მოიპოვონ ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების შესახებ. მაგალითად თევზზერიდან არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენია წლიური შემოსავალი. გამომდინარე აქედან უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნულ საკითხს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, დ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, ფ. შონია, ი. ნადარაია, რ. სერგია)

#### გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N7 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივნისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;  
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და

არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, დ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, ფ. შონია, ი. ნადარაია, მ. ფილიპია)

### გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N8 ოქმს თან ერთვის)

9. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - მუნიციპალიტეტის გამგებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია- მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, დ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, ფ. შონია, ი. ნადარაია, მ. ფილიპია)

## გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N3 ოქმს თან ერთვის)

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ კომისიის მიერ მომზადდა საკრებულოს 2016 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და გამგეობის მიერ 2016 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, დ. გულუა, კ. ლატარია, ე. წურწუმია, ფ. შონია, ი. ნადარაია. შ. ჭილაია)

## გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N4 ოქმს თან ერთვის)

11. „შოთა სირაძის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

